

ქ.თბილისი

2020 წლის 18 მაისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 18 მაისს, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ მონაწილე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ირაკლი ჩიქავა, აკაკი კერესელიძე, ლაშა თავართქილაძე, ლევან ჩიკვაძე, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ტ. მარგველაშვილის ოქმი ამა წლის 15 მაისს, დიდი 10-ს დაგეგმილ მატჩზე, ბათუმის „ბათუმი“-სა და თბ „ლოკომოტივი“-ს შორის, თბ „ლოკომოტივი“-ს არგამოცხადების ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „ლოკომოტივი“ - მატჩზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.11 პუნქტით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „ლოკომოტივი“-ს ჩეთვალოს წაგება, დააკლდეს ერთი საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 10 000(ათი ათასი) ლარით.
2. ბათუმის „ბათუმს“ ჩეთვალოს ბონუსქულიანი მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.
3. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 18 ივნისამდე.
4. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „ლოკომოტივი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/